მიმართულება - სახელმწიფო შესყიდვები

#1 ღონისძიება: ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის შემუშავება ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოსა და ევროკაცშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ეტაპობრივ დაახლოვებას. ეტაპობრივი დაახლოვების იმპლემენტაციის მიზნით შემუშავდება ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

პერიოდი: 2015

დაფინანსების საორიენტაციო მოცულობა: ამ პროცესში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტექნიკურ დახმარებას უწევს SIGMA. 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყო ტექნიკური დახმარების იმპლემენტაცია, კერძოდ პირველ ეტაპზე მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზი ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვების ძირითად სტანდარტებთან და შესაბამის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით.

#2 ღონისძიება: შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; სასურველია დონორი ორგანიზაციების დახმარება/ჩართულობა

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო შესყიდვების გარემოს გაჯანსაღების, აგრეთვე 4420 შემსყიდველ ორგანიზაციაში საჯარო შესყიდვების კვალიფიციური სპეციალისტების გაზრდის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი თანამშრომლებისათვის სპეციალიზებული ტრეინინგების ციკლის ჩატარება. სააგენტომ 2014 წლის 15 ოქტომბერს გახსნა სასწავლო ცენტრი. პირველ ეტაპზე, 2014 წლის განმავლობაში, სააგენტოში გადამზადდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 90 მეტი წარმომადგენელი. 2015 წელს, სააგეტო გეგმავს სასწავლო ცენტრის ბენეფიციართა წრის გაფართოებას, როგორც ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების, ასევე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთათვის და სხვა სამართლებრივი ფორმის მქონე შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის.

პერიოდი: 2015 წელი

#3 ღონისძიება: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; სასურველია დონორი ორგანიზაციების დახმარება/ჩართულობა

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში, ევროკავშირის წევრი და სხვა მოწინავე ქვეყნების კანონმდებლობის საუკეთესო პრაქტიკასთან ეტაპობრივი დაახლოების მიზნით, სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება სასწავლო ვიზიტების გზით. ასევე მონიტორინგის განხორციელების და ელექტრონული სერვისების შემდგომი განვითარების კუთხით, სააგენტოს თანამშრომლებისათვის სასწავლო კურსების და გაცნობითი ხასიათის ვიზიტების ორგანიზება, ასევე საერთაშორისო სემინარებში და კონფერენციებში მონაწილეობის მიღება.

პერიოდი: 2015 წელი

#4 ღონისძიება: მიმწოდებელი ბიზნეს-ორგანიზაციებისათვის საინფორმაციო კამპანიის წარმოება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო; სასურველია დონორი ორგანიზაციების დახმარება/ჩართულობა

შესრულების მაჩვენებელი: ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების და დასაქმების ხელშესაწყობად, სახელმწიფო შესყიდვების გარემოს გაჯანსაღების, ბიზნეს-სექტორის მეტი ჩართულობის, კონკურენციის განვითარების მიზნით, აგრეთვე თითქმის 19,000 მიმწოდებელ ორგანიზაციაში ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად საინფორმაციო-პროპაგანდისტური კამპანიის, აგრეთვე მრგვალი მაგიდების და სხვა ტიპის შეხვედრების (მ.შ. გასვლითი რეგიონული) ციკლის ჩატარება.

პერიოდი: 2015 წელი